


ამოცანები მოხვედრულია გასუხეშდეს პასუხებთან ერთად. არ გამოიყენოთ პონკურსის დროს!

3 ქულა

1 (ესპანეთი). რომელ სურათზეა გაფერადებული ნაწილის ფართობი ყველაზე დიდი?





(E) ყველა გაფერადებული ნაწილის ფართობი ერთმანეთის ტოლი

2 (მალიზია). 2026 წელს უწოდებენ "სრულად ლუწს", რადგან 2026 მხოლოდ ლუწი ციფრებისგან შედგება. რამდენ წელში დადგება პირველად ისეთი "სრულად ლუწი" წელი, რომლის ყველა ციფრიც ერთმანეთისგან განსხვავებული იქნება?

- (A) 2 (B) 20 (C) 22 (D) 38 (E) 42


3 (ირანი). საწყობში ოცი ყუთია დალაგებული. კენგურუ უყურებს ყუთებს იმ კუთხიდან, როგორც ეს სურათზეა ნაჩვენები. რა სურათს ხედავს კენგურუ?



4 (ავღანეთი). A პუნქტსა და B პუნქტს შორის არსებობს სამი სხვადასხვა გზა. B პუნქტსა და C პუნქტს შორის - ხუთი სხვადასხვა გზა. ანდრია წავიდა A-დან C-ში B-ს გავლით. მას სურს დაბრუნდეს C-დან A-ში B-ს გავლით მაგრამ ისე, რომ დაბრუნებისას ერთ-ერთ მონაკვეთზე მაინც (ან A-B, ან B-C) გამოიყენოს სხვა გზა ანუ დაბრუნების სრული მარშრუტი ზუსტად იგივე არ იყოს, რაც წასვლისას. რამდენი ასეთი მარშრუტის არჩევა შეუძლია ანდრიას დაბრუნებისთვის?

- (A) 5 (B) 6 (C) 10 (D) 12 (E) 14


5 (ირანი). როდესაც მარიმ ციფრული საათი სარკის წინ დადო, მენიშნა, რომ სარკეში ასახული ციფრები სხვა დროს აჩვენებდა. პასუხებიდან რა დროს შეიძლება ანახებდეს მარის საათი?



6 (შვეიცარია). რა უმცირესი დადებითი რიცხვითი მნიშვნელობის მიღება შეიძლება, თუ $\frac{\square + \square}{\square - \square}$ გამოსახულებაში ოთხ ცარიელ ადგილას ჩავსვათ შემდეგ ოთხ რიცხვს: 2, 0, 2 და 6, თითოში - თითო?

- (A) $\frac{1}{6}$ (B) $\frac{1}{4}$ (C) $\frac{1}{3}$ (D) $\frac{1}{2}$ (E) $\frac{2}{3}$

7 (გერმანია). სურათზე მოცემული ფაზლის აწყობა შეიძლება დასრულდეს პასუხებში ნაჩვენები ხუთი ნაწილიდან ნებისმიერის გამოყენებით. რომელი ნაწილის არჩევით გამოჩნდება დასრულებულ ფაზლზე ყველაზე მეტი კუნძული?




- (A) (B) (C) (D) (E)

8 (გერმანია). ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი რიცხვი ვერ წარმოდგინდება ორი ან მეტი ერთმანეთის მომდევნო ნატურალური რიცხვების ჯამის სახით?

- (A) 5 (B) 6 (C) 7 (D) 8 (E) 9

9 (ნორვეგია). ანამ ქალაქის შაბლონით დაამზადა სურათზე ნაჩვენები ფიგურა. პასუხებში მოცემულ ყოველ შაბლონზე წყვეტილი ხაზები მიუთითებს, სად უნდა მოეკეცა ანას ქალაქი, ხოლო უწყვეტი ხაზები - სად უნდა გაეჭრა. რომელი შაბლონი გამოიყენა ანამ?




- (A) (B) (C) (D) (E)

ამოცანები მოცემულია გასუხეხობთან ერთად. არ გამოიყენოთ კონკურსის დროს!

15 (პორტუგალია). ჯადოსნურ ტყეში ექვსი ელფი ცხოვრობს: ხუთი უმცროსი და ერთი უფროსი. ყოველი უმცროსი ელფი დღეში 6 ალუბალს ჭამს, ხოლო უფროსი ელფი დღეში ჭამს იმ რაოდენობაზე 5 ალუბლით მეტს, რამდენიც ექვსივე ელფის მიერ შეჭმული ალუბლების საშუალო რაოდენობაა. რამდენ ალუბალს ჭამს უფროსი ელფი დღეში?

- (A) 10 (B) 11 (C) 12 (D) 13 (E) 14

16 (შვეიცარია). რისი ტოლია სურათზე მოცემული ყველა რუხი ფერის კუთხის ჯამი?



- (A) 180° (B) 240° (C) 270° (D) 360° (E) 450°



17 (გაერთიანებული სამეფო). კლასში 23-ზე მეტი და 29-ზე ნაკლები მოსწავლეა. ყველა მოსწავლეს უყვარს ან მათემატიკა, ან ფრანგული, ან ორივე საგანი ერთად. აღმოჩნდა, რომ ორჯერ მეტ მოსწავლეს უყვარს მათემატიკა, ვიდრე ფრანგული. ასევე, იმდენივეს უყვარს ორივე საგანი, რამდენსაც მხოლოდ ფრანგული. სულ რამდენი მოსწავლეა კლასში?

- (A) 24 (B) 25 (C) 26 (D) 27 (E) 28

18 (ვიეტნამი). რიცხვი A -ს ერთეულების რაოდენობა არის 1 და მისი წაშლის შედეგად მიიღება რიცხვი, რომელიც A -ზე 2026-ით ნაკლებია. რისი ტოლია A -ს ციფრთა ჯამი?

- (A) 10 (B) 12 (C) 14 (D) 16 (E) 18

19 (ჩინეთი). სურათზე მოცემულია შაბლონი, რომლისგანაც შესაძლებელია კუბის გაკეთება. ჩამოთვლილი პასუხებიდან რომელია ამ შაბლონით მიღებული კუბი?




20 (ერაყი). მოცემულ შეკრების ოპერაციაში თითო ასო აღნიშნავს თითო ციფრს და სხვადასხვა ასო - სხვადასხვა ციფრს. იპოვეთ $A + B + C$.

$$\begin{array}{r} A B C \\ + A C B \\ \hline C 4 A \end{array}$$

- (A) 16 (B) 17 (C) 18
(D) 19 (E) 20

5 ქულა

21 (ნორვატია). ფიგურა შედგება ერთმანეთზე მიბჯენილი ხუთი კვადრატისგან, რომელთა ფართობებია 1 მ^2 , 4 მ^2 , 9 მ^2 , 16 მ^2 და 25 მ^2 , არა აუცილებლად ამ თანმიმდევრობით. ყველა კვადრატი ისეა განლაგებული, რომ მათი ქვედა გვერდები ერთსა და იმავე წრფეზე ძევს. წერტილი A არის უკიდურესი მარცხენა კვადრატის ერთ-ერთი წვერო. ვანომ გაჭრა ფიგურა AB წრფის გასწვრივ, სადაც AB პარალელურია CD -სი. იპოვეთ სურათზე ნახვენები დარჩენილი ფიგურის ფართობი?



- (A) 44.5 მ^2 (B) 45.5 მ^2 (C) 46.5 მ^2 (D) 47.5 მ^2 (E) 48.5 მ^2

22 (საუდის არაბეთი). ორი ძველი საათი მაქვს: პაპის და მამის. პაპის საათი ყოველ 1 საათში ჩამორჩება 5 წუთით, ხოლო მამის საათი ყოველ 1 საათში უსწრებს დროს 5 წუთით. გუშინ საღამოს 21:00-ზე ორივე საათი ზუსტ დროზე დავაყენე. დილით გაღვიძებისას პაპის საათი 08:00-ს აჩვენებდა. რა დროს აჩვენებდა მამის საათი იმ მომენტში?

- (A) 9:00 (B) 9:30 (C) 10:00
(D) 10:30 (E) 11:00

23 (ბელარუსია). მართკუთხედი დაყოფილია ექვს მართკუთხა ფორმის ნაწილად. ხუთი ნაწილის ფართობი მოცემულია სურათზე. რისი ტოლია მეექვსე ნაწილის ფართობი?




- (A) 14 (B) 15 (C) 16 (D) 18 (E) 20

24 (უნგრეთი). ანი, ბექა და ცირა წავიდნენ საკანცელარიო მალაზიაში კალმებისა და სახაზავების საყიდლად. თითოეულმა მათგანმა ზუსტად 10 ნივთი იყიდა. ანიმ იყიდა ორჯერ მეტი კალამი, ვიდრე ცირამ - სახაზავი. ბექამ იყიდა ორჯერ მეტი კალამი, ვიდრე ანიმ - სახაზავი. სამივემ ერთად იყიდა ლუწი რაოდენობის სახაზავი. სულ რამდენი კალამი იყიდა ბექამ?

- (A) 2 (B) 4 (C) 6 (D) 7 (E) 8

25 (კატალონია). $A'BC'$ სამკუთხედი მიიღება ABC სამკუთხედის მოტრიალების B წვეროს გარშემო. C , A' და C' წერტილები ერთ წრფეზე ძევს. ასევე, ერთ წრფეზე ძევს A , B და C' წერტილები. თუ $\angle BCA = 15^\circ$, რისი ტოლია $\angle BAC$?



- (A) 105° (B) 115° (C) 120° (D) 135° (E) 140°

26 (უკრაინა). დიდი კუბი, რომლის გვერდის სიგრძეა 4, აწყობილია პატარა კუბებით, რომლის გვერდის სიგრძეა 1. სულ მცირე რამდენი პატარა კუბი უნდა მოვაცილოთ დიდ კუბს, რომ მიღებული ფიგურის სრული ზედაპირის ფართობი 50%-ით მეტი იყოს, ვიდრე თავდაპირველი დიდი კუბის სრული ზედაპირის ფართობი?

- (A) 6 (B) 8 (C) 10 (D) 12 (E) 18

ამოცანები მოცემულია გასუხებთან ერთად. არ გამოიყენოთ კონკურსის დროს!

27 (ა.შ.შ.). ქვემოთ მოცემული ოთხი წინადადებიდან რამდენია ჭეშმარიტი?


- (1) ზუსტად ორი წინადადება არის მცდარი.
- (2) ეს წინადადება ჭეშმარიტია.
- (3) წინა წინადადება ჭეშმარიტია.
- (4) ზემოთ ჩამოთვლილი სამი წინადადება მცდარია.

- (A) 0 (B) 1 (C) 2 (D) 3 (E) 4

28 (ჰონგ-კონგი). დავითს სურს რიცხვები 1, 2, 3, 4 და 5 ერთ რიგში ისე დაალაგოს, რომ ბოლო რიცხვი იყოს კენტი და ამავედროულად, ნებისმიერი სამი ერთმანეთის მომდევნო რიცხვის ჯამი იყოფოდეს ამ სამი რიცხვიდან პირველზე. სულ რამდენი განსხვავებული გზით შეუძლია დავითს ამის გაკეთება?

- (A) 2 (B) 3 (C) 4 (D) 5 (E) 6

29 (ავსტრია). ბექას სურს, დახაზოს $ABCDE$ ხუთკუთხედი დიაგონალით AD , სადაც $EA = ED$ და $AB = CD$. ასევე, მას სურს, რომ AD იყოს BC -ს პარალელური, $\angle AED$ და $\angle ADC$ იყოს ერთმანეთის ტოლი, ხოლო $\angle EDA$ და $\angle BAD$ ზომების შეფარდება იყოს 3 : 2. ბექამ სცადა ზუსტი ნახაზის გაკეთება, თუმცა არ გამოუვიდა. ზუსტ ნახაზზე რისი ტოლი იქნება $\angle DCB$?



- (A) 135° (B) 125° (C) 120°
 (D) 115° (E) 110°

30 (ჩინეთი). დედამ პასუხებში მოცემული კანფეტებიდან ერთი-ერთი აირჩია და მის ერთ შვილს, ანის, უთხრა კანფეტის შეფუთვის გაფორმება, ხოლო მეორეს, ეკას - კანფეტის ფორმა. დედამ პირველი კითხვა დასვა: "იცი, რომელი კანფეტი ავირჩიე?"

ანიმაც და ეკამაც უპასუხეს: "არა".

შემდეგ, დედამ მეორედ იკითხა: "ახლა ხომ არ იცი, უკვე?"

ორივემ ისევ უპასუხა: "არა".

როდესაც დედამ მესამედ დასვა იგივე შეკითხვა, ანიმაც და ეკამაც ერთდროულად დაასახელეს სწორი პასუხი.

რომელი კანფეტი აურჩევია დედას?

- (A)  (B)  (C)  (D)  (E) 